ს.ს.ი.პ
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“
ბრძანება

13. 10. 08 № 80

(თბილისი)

სტიპენდიის დანიშვნის წესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და წარჩინებული სტუდენტებისათვის წამახალისებელი სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის II, III და უმაღლესი პროფესიული განათლების II კურსის სტუდენტებს, რომლებმაც რექტორის №10 (05.02.2008წ.) ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში (2008 წლის 9 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით) დააგროვეს 91% ან მეტი რეიტინგი, დაენიშნოთ სტიპენდია თვეში 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით.
2. ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტებს, რომლებმაც ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში დააგროვეს 81% ან მეტი რეიტინგი, დაენიშნოთ სტიპენდია თვეში 25 ლარის (ოცდახუთი) ოდენობით.
3. მაგისტრატურის II კურსის სტუდენტებს, რომლებმაც ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში დააგროვეს 91% ან მეტი რეიტინგი, დაენიშნოთ სტიპენდია თვეში 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით.
4. სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის „ფარმაციის“ სპეციალობის V კურსის წარჩინებულ სტუდენტებს (სტუდენტებს, რომლებსაც ყველა საგანში აქვთ შეფასება „5“), დაენიშნოთ სტიპენდია თვეში 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით 2008 წლის 1 სექტემბრიდან 2008 წლის 1 დეკემბრამდე, 3 კალენდარული თვის განმავლობაში.
5. ამ ბრძანებით გათვალისწინებული 25 ლარიანი სტიპენდიის ნაცვლად სტუ-ს ბაკალავრიატის II, III და IV კურსის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს დაენიშნოთ 150 ლარიანი სტიპენდია 2008 წლის 1 სექტემბრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე, 4 კალენდარული თვის განმავლობაში.
6. ამ ბრძანების მე-5 პუნქტით განსაზღვრული სტიპენდიის გაცემა მოხდეს შესაბამისი ფაკულტეტისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ოდენობების მიხედვით:
   სამშენებლო ფაკულტეტი - 13 სტუდენტი;
   ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - 15 სტუდენტი;
   სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - 9 სტუდენტი;
   ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - 21 სტუდენტი;
   არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - 6 სტუდენტი;
   სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - 19 სტუდენტი;
   ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 53 სტუდენტი;
   ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი - 131 სტუდენტი.
7. ამ ბრძანების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული სტიპენდია გაიცემა მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე, 4 კალენდარული თვის განმავლობაში
8. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოთ ფაკულტეტის დეკანებს.
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თავლსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე.

რექტორის მ/შ,
პროფესორი — ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფესორი — ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი — ბ. მაისურაძე